ზაარლანდის (გერმანია) უნივერსიტეტის სტიპენდიები თსუ-ს დოქტორანტურის სტუდენტებისთვის

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს 2015 წლის გაზაფხულის სემესტრში ზაარლანდის უნივერსიტეტში ორკვირიანი კვლევითი სტიპენდიების მოსაპოვებლად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ-ს ყველა ფაკულტეტის დოქტორანტებს!

<u>კონკურსში მონაწილეობის მსურველთა სააპლიკაციო დოკუმენტების მიღება მოხდება ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე:</u>

dfronline_de@tsu.ge

კონკურსზე ელექტრონულად დარეგისტრირების ბოლო ვადაა:
<u>2014 წლის 28 ნოემბერი, 18 საათი</u>

<u>რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი თსუ ელ-ფოსტის მისამართით!</u>

თსუ ელ-ფოსტის მისამართთან ან პაროლთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში მიმართეთ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს!

დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც PDF-ის ფორმატში უნდა გადმოიგზავნოს ელფოსტის საშუალებით:

- ერთი რეკომენდაცია ქართულ და გერმანულ ენაზე (ნოტარიული დამოწმება არ არის საჭირო)
- დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან (ქართულ ენაზე)
- მაგისტრის დიპლომის ასლი
- პასპორტის ასლი
- მოტივაციის წერილი (გერმანულ ენაზე)
- CV (გერმანულ ენაზე)

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ: ირინა გამყრელიძეს (irina.gamkrelidze@tsu.ge)

შენიშვნა:

გერმანულენოვან დოქტორანტებს არ მოეთხოვებათ ენის ტესტის დაწერა.
გამონაკლისის სახით გერმანული ენის არცოდნის შემთხვევაში კონკურსზე დაიშვებიან მხოლოდ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისურენოვანი დოქტორანტები.

<u>კონკურსზე არ დაიშვებიან 2013/2014 სასწავლო წლის ზაარლანდის კონკურსის გამარჯვებულები!</u>

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.2250212
TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.2250212